



ოქმი:ო06.37220871

თარიღი:28/03/2022

ოქმი #1

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის

2022 წელი

28 მარტი

ქ.ოზურგეთი

13:00-14 :00 საათი

თავმჯდომარეობდა: ნინო ჭანიშვილი- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: საბჭოს თავმჯდომარის მოდგილე ვლადიმერ ხავთასი

საბჭოს მდივანი: მარინა ვაშალომიძე

საბჭოს წევრები: ტარიელ აროშიძე, ქეთევან ხომერიკი, ხათუნა ცერცვაძე, მარიკა ჩხიკვიშვილი, ბექა თოიძე, ნუგზარ ურუშაძე, გიორგი სირაძე, თათია ნიკოლაიშვილი, გოჩა შილაკაძე.

საკრებულოს წევრი:ნინო ნადირაშვილი.

სხდომის თავმჯდომარე ნინო ჭანიშვილი მიესალმა საბჭოს წევრებს და გააცნო მათ სხდომის დღის წესრიგი. სხდომას ესწრებოდა 12 წევრი.

დღის წესრიგი:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2022 წლის სამოქმედო გეგმის გაცნობა.

მომხსენებელი: ნინო ჭანიშვილი.

გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს დამსწრე წევრებს გააცნო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2022 წლის სამოქმედო გეგმა პუნქტობრივად. საბჭოს წევრებმა განიხილეს სამოქმედო გეგმა და წარმოდგენილ პროექტს მხარი დაუჭირეს 12 ხმით.

საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმა წარედგინოს საკრებულოს განხილვა -დამტკიცების მიზნით.

საკრებულოს წევრმა ნინო ნადირაშვილმა გამოთქვა სურვილი საბჭოში გაწევრიანების. საბჭოს თავმჯდომარის ნინო ჭანიშვილის განცხადებით, ის მიმართავს საკრებულოს საბჭოს პერსონალური შემადგენლობის ცვლილების შესახებ, საკრებულოს წევრის ნინო ნადირაშვილის დამატების მიზნით.

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

ნინო ჭანიშვილი

გენდერული თანასწორობის საბჭო-საბჭოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

